ცნობის ფურცელი

№ 1767 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 30 მარტი № 1767

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პერდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". **ტელეფონი № 372.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკა დავითის ძე ურუშაძე შვილებით და პეტრე დავითის ძე ორაგველიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველნი ძვირფასის მეუღლისა და დედისა, ხოლო მეორე საყვარელის დეიდისა

ეკა იესეს ასულის ურუშაძისა.

პანაშვიდი იქნება დილის 11 საათზე, ხოლო გასვენება ნაშუადღევის 5 საათზე, შაბათს, 30 მარტს, დაბა ლანჩხუთში განსვენებულის სახლიდან წმ. გიორგის ეკკლესიაში. (2—2)

თავადნი კონსტანტინე, პეტრე და გიორგი პაატას ძენი აბაშიძეები, გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ რა გარდაცვალებასა ძვირფასის დედისა ჩვენისა კნეინა

მარიამ მაურმაყანის ასულის აბაშიძისას,

უმორჩილესად ვსთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრენ მიცვალებულის გასვენებას კვირას, 31 მარტს, დილის 10 საათზე, სოფელ უბისაში. (1—282—1)

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ა. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 11—2 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები – მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ქართული თეატრი

შაბათს, 30 მარტს, 1902 წელს

ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში

გამართული იქნება

კონცერტი,

რომელშიაც იმღერებს გურულ ტანისამოსში გამოწყობილი ხორო გურულს, ქართულს, იმერულს, მეგრულს და კახურს სიმღერებს. მათ შორის აღასრულებს ორ სართულიან ფერხულს და მეგრულს ნადურს თოხნით ისე, როგორც ნამდვილ ყანაში **ზ. ფ. ქორიძის ლოტბარობით.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (3—3)

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლის ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილის მოსაზრების განხილვა, ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის ალებ—მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავების და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.** (ნ. 10—3)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტელეფონი № 642.

ბათუმში

ამა მარტის 10-დან გაიხსნა პირველ ხარისხოვანი საუკეთესო

სასტუმრო „ორიენტალ",

რომელიც მოთავსებულია საგანგებოდ აშენებულ სახლში ნავთსადგურის პირდაპირ, ზღვის პირად. სასტუმრო მშვენიერად მოწყობილ-მორთულია; განათება ელექტრონული; ზღვის აბანო; საუკეთესო მზარეული; მოსამსახურენი—თავაზიანი და მარჯვე. **ფასები იაფი** ყველაფერზე. ტელეფონი № 141.

(ნ 15—4) სასტუმროს პატრონი **ე. ბერძენიშვილი**

საგანი სიცოცხლისა

I

თავის მოკვლას ორგვარი მიზეზი აქვს: პირადი ცხოვრების უკმაყოფილება და დაჩაგვრა და სიცოცხლის ერთგვარი განმარტება, რომლის ძალით სიცოცხლე უმნიშვნელო და უაზრო საგნად ხდება. პირველი მიზეზი უფრო მარტივი და ადვილად გასაგებია, მეორე მიზეზი თავის მოკვლისა რთულია და ძნელად განსამარტავია. ხოლო ორსავე შემთხვევაში თავის მოკვლას სიცოცხლის ამა თუ იმ განმარტებასთან აქვს კავშირი.

ამ კითხვის ჯეროვან განმარტებას, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე მგრძნობიერ მოზარდ თაობისათვის, რომელსაც უფრო მკაცრად სჩაგრავს ხოლმე ცხოვრების ყოველი ბორძიკი და სიცოცხლის უკუღმართობის შეგნებაც ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიიყვანს.

როგორც ვსთქვით, ერთი მიზეზი თავის მოკვლისა უფრო პირადია, ფსიხო-ფიზიოლოგიური, ადამიანის ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილობით გამოწვეული. მეორე მიზეზი უფრო განყენებულია, თეორეტიული, თუმცა იმავე სულიერ მშვიდობიანობის დარღვევაზეა აშენებული.

თქვენ დაეჩვიეთ განსაზღვრულ ცხოვრებას, განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გარემოება ხელიდან გაცლით ჩვეულ ცხოვრების პირობებს. აწინდელი მდგომარეობა ვერ შეედრება წარსულს. აწმყო უფერულია, ერთგვარი, ღარიბია, წარსული კი ბჰყვრიალა, რომელიც თანდათან ძლიერდება და ხშირად ტანჯვად გადაიქცევა ხოლმე. თქვენ ვერ იტანთ უზომო ტანჯვას და დაჩაგვრას, ესალმებით წუთის სოფელს და თავს იკლავთ. ეს მარტივი ფსიხო-ფიზიოლოგიური მიზეზია თავის მოკვლისა.

თქვენ საზოგადო მოღვაწე ხართ, შრომობთ. თქვენ გაფასებენ, როგორც კეთილ სინიდისიერ მუშაკს. თქვენ გატაცებული ხართ საზოგადოებისათვის სამსახურით. მაგრამ უბედურება შეგემთხვათ: თქვენ შეიყვარეთ ქალი, რომელიც თქვენ არ თანაგიგრძნობთ, ან კიდევ თქვენ მოგიკვდათ ცოლი, შვილი ან ძმა, რომელნიც ძლიერ გიყვარდათ. თქვენ ვერ იტანთ ამ მწუხარებას. სიცოცხლეს თქვენს თვალში აზრი ეკარგება და თქვენ თავს მოსაკლავად იმეტებთ. აი იმგვარივე არა ნაკლებ მარტივი ფსიხო-ფიზიოლოგიური მიზეზი თავის მოკვლისა.

ორივე შემთხვევას რომ დააკვირდეთ, დაინახავთ, რომ თქვენ ძლიერ აფასებთ ყველა იმას, რაც პირად ბედნიერებას შეადგენს: მდიდრულ ცხოვრებას, სიყვარულით დაკმაყოფილებას, ოჯახურ კავშირს და აქედან წარმომდგარ სიამოვნებას. და თქვენ არამც თუ აფასებთ ყველა ამას, მასში სიცოცხლის აზრსაც ჰხედავთ. სიცოცხლეს არ გაიმეტებდით, სიცოცხლეზე მეტს რომ არ აფასებდეთ სიმდიდრეს, სიყვარულს, ოჯახურს მყუდროებას. სიმდიდრე, სიყვარული, ოჯახური მყუდროება ხელიდან გეცლებათ და თქვენს თვალში სიცოცხლეს აზრი და მნიშვნელობა ეკარგება. ამ სამ შემთხვევაში ერთგვარი, ხოლო სხვა-და-სხვა ხასიათისაა მიზეზი თქვენი თავის მოკვლისა. ეს მიზეზი, როგორცა ვსთქვით, ფსიხო-ფიზიოლოგიურია, ე. ი. ხორცის და სულის დაუკმაყოფილებლობიდან წარმომდგარი. ამ შემთხვევაში სიცოცხლეს იმდენად ფასი აქვს, რამდენადაც იგი თქვენს პირადობას აკმაყოფილებს. დაიბადება თუ არა თქვენს გულში უკმაყოფილება, სიცოცხლეც უარ-ყოფილია.

სხვა ხასიათისაა, თუმცა ერთის წყაროდან მომდინარეობს, თეორეტიული, აზროვნული სიცოცხლის უკუგდება. კაცი სიცოცხლეს თავის ავ-კარგიანობით ითვალისწინებს. სიცოცხლეში, პირად ცხოვრების დამოუკიდებლად, კაცი ბოროტების გამეფებას ჰხედავს. ყოველგან და ყოველთვის პირუტყვთა, თუ ადამიანთა სამეფოში, ძალა არის გამარჯვებული. დაბადებისათანავე, ადამიანი ათასნაირ განსაცდელის ხელშია. და ამასთან ადამიანის სიცოცხლეს აუცილებლად ავადმყოფობა, სიბერე და სიკვდილი თან სდევს.

სიმდიდრეს, პირად სიყვარულს, ოჯახურ მყუდროებას ფასი არ აქვს, რადგან ყოველივე ეს წარმავალია, დროებითი. ავადმყოფობა აბათილებს სიცოცხლის ღირსებას, სიბერე ჰკლავს ძალ-ღონე,ს სილამაზეს. სიკვდილი ძირიან-ფესვიანად უარ-ჰყოფს ყოველსავე იმას, რასაც სიცოცხლე გვიქადის—უმაღლესს ბედნიერებას და კმაყოფილებას. სანამ ავადმყოფობა, სიბერე და სიკვდილი ძლეული არ იქნება, იმ დრომდე სიცოცხლესაც ფასი არ ექნება. ხოლო, რადგან ამ გამარჯვების იმედი არავის არ უნდა ჰქონდეს, ამიტომაც არის, რომ სიცოცხლე აზრს მოკლებულია. რაკი სიცოცხლე, ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, უაზროა და უმნიშვნელო, რაკი სიცოცხლის ყოველივე სიხარული წუთიერია და ყოველივე ბედნიერება თვალთმაქცი, ამისათვის სიცოცხლე და ყოველივე „სიამე ამა ქვეყნისა" სიყვარულის ღირსი კი არ არის, არამედ სიძულვილისა და ზიზღისა. სიცოცხლე მძიმე ტვირთია. სიკვდილი სხნაა, ამ ტვირთისაგან განთავისუფლება და მოსვენება. ამ დასკვნამდე მიყვანილი, ადამიანი ესალმება წუთისოფელს და თავს იკლავს. ამგვარი ხასიათისაა აზროვნული ანუ თეორეტიული საფუძველი სიცოცხლის უარყოფისა.

მაშასადამე, თუ თავის მოკვლის მიზეზი ხორცისა, სულისა თუ აზრის უკმაყოფილებისაგან წარმოსდგება, ადვილი გასაგებია, როგორია სიცოცხლის აზრი იმ კაცის თვალში, ვინც თავს გასწირავს და წუთი სოფელს ეთხოვება. ჩვენ ვნახეთ, რომ კაცი სიცოცხლეს იმეტებს, როდესაც პირადად იჩაგრება (მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გამო, საყვარელ კაცის სიკვდილის გამო) ან კიდევ როდესაც მწუხარის აზრით არის გამსჭვალული, რომ ყოველივე ამა ქვეყნის სიამე და ბედნიერება ფუჭი და ამაოა, და რომ ერთი უტყუარი ჭეშმარიტება—ბოროტების და ტანჯვის გამეფებაა ამ ქვეყნად. ჩვენ ვნახეთ, რომ ამგვარ გრძნობებით და აზრებით გამსჭვალული ადამიანი იძულებულია სიცოცხლე უარ-ჰყოს და, მაშასადამე, სიცოცხლის აზრი და მნიშვნელობაც უკუაგდოს.

ნუ თუ ყველა ეს მართალია? ნუ თუ მართლა ეს ჩვენი ქვეყანა ტანჯვით და ცრემლებით არის გაჟღენთილი და ყოველი სიხარული და სიამე თვალთმაქცობა და მოტყუებაა? თუ ვერ შევძელით და ამ კითხვაზე

ჯეროვანი პასუხი ვერ მივეცით, არ აღვადგინეთ სიცოცხლის ფასი და მნიშვნელობა, მაშინ იძულებული ვიქნებით სიცოცხლის ზემოხსენებულ განმარტებას დავემორჩილოთ.

იმ დროიდან, რაც ადამიანმა აზროვნობა დაიწყო, ეს საკითხი აწუხებს ადამიანის სულს. ძველ ჵ ახალ დროში, საბერძნეთში, თუ ინდოეთში, ევროპაში, კაცს სიკვდილის აჩრდილი აღშფოთებდა, სიხარულის და ბედნიერების დაუდგრომელობა აწუხებდა და ტანჯვის სურათი, რომელიც მართლაც და ყოველ გონიერ ადამიანის თვალ-წინ იშლება, სიცოცხლის სურვილს უკლავდა. თითქმის ყველა რელიგიური სისტემები სიცოცხლის ტანჯვისა და არარაობის აღიარებაზე არიან აშენებულნი. ძველი და ახალი დროის პესიმისტური ფილოსოფიაც ამ საფუძველზეა დამყარებული. ამიტომ არის, რომ ძველ დროში, ისე, როგორც ახალში, სიცოცხლის მოყვარე ნაწილი მომქმედი კაცობრიობისა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ტანჯვის და მწუხარების მოძღვრებას და შეძლების დაგვარად სიცოცხლის ღირსების და ფასის აღდგენას ცდილობდა.

მომქმედი და სიცოცხლის მოტრფიალე ადამიანი ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ ყველა ხასიათის და თვისების თავის მკვლელები ერთმანეთს ჰგვანან, რომ ყველა ესენი, არსებითად, ეგოისტურ გრძნობით არიან შეპყრობილნი და პირად, ხორცის თუ სულის დაჩაგვრას თვით სიცოცხლეზედაც მაღლა აყენებენ. ბედნიერებისა და სიხარულისა ეშინიანთ, რადგან ყოველგან და ყოველთვის სიკვდილის აჩრდილი აგონდებათ. ამიტომაც არის, რომ ძველ დროიდან მოყოლებული ადამიანი ბევრს ჰფიქრობდა და ფიქრობს სიკვდილზე. ცდილობს შეამსუბუქოს სიკვდილის დამჩაგვრელი ძალა და აღიაროს, რომ, მიუხედავად სიკვდილის მოლოდინისა, ჩვენს სიცოცხლეს ღრმა აზრი და მნიშვნელობა აქვს.

არჩილ ჯორჯაძე

საზღვარ-გარედ

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთები სულ იმის ძიებაში არიან, თუ როგორი პირობები დაედება საფუძვლად ინგლისელებისა და ბურების მოლაპარაკებას ზავის ჩამოგდებაზე. ბურების ეხლანდელი მდგომარეობა თუ უკეთესი არა, უარესი არ არის იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც ისინი იმყოფებოდნენ, როცა კიტჩენერის პირობებზე უარი სთქვეს. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ ეხლანდელი პირობები მოლაპარაკებისა ისეთივე იყოს, როგორც მაშინ. მეორეს მხრივ, ინგლისის ეხლანდელ მთავრობას რამდენჯერმე გამოუცხადებია, რომ ზავის ჩამოგდების პირველი პირობა ბურების სრული დამორჩილება არისო და ამიტომ იმავე მთავრობამ ეხლა როგორღა მოახერხოს თავისივე სიტყვა უარჰყოს.

როგორც აღნიშნული გვქონდა, უმთავრესი კითხვები მოლაპარაკებისა არის—რესპუბლიკების ავტონომია, აფრიკანდერების ამნისტია და დანგრეულ ფერმების საზღაური.

ბურების მეთაურები თხოულობდნენ და, თუ „მოსკ. ვედომოსტი“-ს კორესპონდენტს დავუჯეროთ, ეხლაც თხოულობენ სრულ დამოუკიდებლობას, როგორც შინაგან, ისე გარეშე საქმეებშიაც. შალკ-ბურგერი პირადათ თანახმაა ავტონომიაზე, მაგრამ „ვერ შეაგონა დევეტს, დელარეის, ბოტას და შტეინს, რომელნიც სრულ დამოუკიდებლობას თხოულობენ“. გაზეთების სიტყვით, კრიუგერს უნდა ეთქვას, რომ ეხლა დაწყებულ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რადგან ინგლისელები რესპუბლიკების დამორჩილებას თხოულობენო.

რაც შეეხება დანარჩენ ორ კითხვას—ამნისტიას და ფერმების აღდგენას, აქ მებრძოლი მხარეები ადვილად მორიგდებიან. მართალია, ინგლისელ ხარჯის გადამხდელისათვის ვერაფერი პერსპექტივაა ფული იხადოს გენერლებისაგან დანგრეულ ფერმების აღდგენისათვის, მაგრამ ეს უფრო იაფად დაუჯდება მას, ვიდრე ომის განგრძობა.

საქმე პირველი კითხვაა და სწორედ მისი გადაუწყვეტლობა ჩაფუშავს მთელ მოლაპარაკებას. ბურებმა დაიმსახურეს სრული დამოუკიდებლობა, გამოიჩინეს განსაცვიფრებელი უნარი თავის დაცვისა და თავიანთ საქმეების გაძღოლისა. ამიტომ შეუძლებელია სამართლიანად არ იქმნას ცნობილი მათი მოთხოვნა სრულის თავისუფლებისა, მაგრამ სამხრეთ-აფრიკის ომიანობის გაგრძელება იმდენად შესაზარი და მავნებელია საკაცობრიო ინტერესებისათვის (შებორკილი ინგლისელი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ვერ ეწინააღმდეგება სასურველად საერთაშორისო პოლიტიკის არა სასურველ მდგომარეობას), რომ შენდა უნებურად გასურვებინებს, რომ შალკ-ბურგერმა მიიმხროს ბურების გმირი სარდლები და მიაღებინოს მათ ავტონომია.

ჩინეთი. გაზეთების მკითხველს ეცოდინება, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში ჯერაც არ დაწყნარებულა ეგრედ წოდებულ ხუნხუზების მოძრაობა. ისიც ეცოდინება, რომ ამ ხუნხუზებს „ავაზაკების და ყაჩაღების სახელით ნათლავდნენ. სწორედ ამ „ავაზაკების“ მეთაურს დიუდანზირს გამოუცია შემდეგი პროკლამაცია, რომელიც დაბეჭდილია ოფიციალურ გაზეთ „პრიამურსკია ვედომოსტი“-ში: „ავაზაკმა რუსებმა ხელში იგდეს ჩინეთი, დაიპყრეს ციციკარის, გირინის და მუკდენის პროვინციები. მათ შელახეს ჩვენი სასაფლაოები, ისინი სძარცვავენ ხალხს და ძალმომრეობენ ქალებზე. ამ გვარის საქციელისათვის მათ ღმერთი დასჯის, მაგრამ ადამიანებმაც უნდა დასაჯონ.

ჩვენ უნდა შევსჭამოთ მათი ხორცი და ვიძინოთ მათ ტყავზე და მხოლოდ მაშინ ვიქნებით დაკმაყოფილებული.

მშვიდობიანობის დარღვევამდე დიდ-ძალი მოხელეები (ჩინელი) და ჯარის კაცები იკვეხნიდნენ ჭკუას და ვაჟკაცობას და ამტკიცებდნენ, რომ მათ იმდენი ჭკუა აქვთ, რამდენიც წვიმა მოდის და იმდენი ჯარი ჰყავთ, რამდენიც ღრუბლებია ცაში.

საუბედუროდ, ყველაფერი ეს მხოლოდ სიტყვაში და ქაღალდზე ყოფილა. პირველად ჰფიქრობდნენ, რომ ამ ხალხმა შეასრულა თავისი მოვალეობა მამულისა და იმპერატორის წინაშე თავის ქალაქების დაცვით. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ჯარები უომრად უკუიქცეოდნენ, და მოხელეები კი, გაიგებდნენ თუ არა მტრის მოახლოვებას, გარბოდნენ და თან მიჰქონდათ ძვირფასი განძეულობა.

აი რათ მოუვიდა ჩინეთს ასეთი უბედურება: ეს კიდევ ცოტაა, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელნიც ავაზაკ-რუსებს თეთრის ბაირაღით დაჰხვდნენ ვითომდა ხალხისა და ქონების გადასარჩენად, ნამდვილად კი ამათ მიჰყიდეს სამშობლო უცხოელებს. ამისთანა პირები—ეშმაკების მონები და ავაზაკების შვილებია; მათ უნდა რცხვენოდეთ სამშობლოსი, მშობლებისა და თვით მტრისაც-კი. ვინც-კი მათ შეხვდება, უთუოდ უნდა მოჰკლას. ვინ არის ისეთი, რომ ამდენ უბედურების დანახვაზე არ აღშფოთდეს და გულის ტკივილით არ იტიროს!

კეთილ-შობილნო, პატიოსანნო და მამულისმოყვარენო! დავიძრეთ მამულის დასაცველად და მოვსპოთ ყველა უცხოელები. ბევრი სახელოვანი მეთაური შემოგვიერთდა ყოვლის მხრიდან და ფიცი დადვეს—გავიმარჯვოთ და ან გავსწყდეთო.

გატყობინებთ ზემოხსენებულს და გთხოვთ, რაც შეიძლება, მალე ჩადგეთ ჩვენ რაზმში და სამშობლოს დაცვა იგალოთ.

სახელი მოვიპოვოთ პირველ ნაბიჯის გადადგმისთანავე და გამარჯვება იყოს ჩვენი მიზანი! მაშინ ვინადიმებთ თავისუფლად და ქება დიდებას შევასხამთ გამარჯვებას“!

✿ „მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტის სიტყვით, პირველი კაცი ეხლა ჩინეთში იუანშიკაი არის. მის ხელშია ეხლა ჩინეთის სამხედრო ძალის მეტი წილი. იუანშიკაი ჩინელი პატრიოტია; ჩამომავლობით იგი მანჯურელი არ არის, მაგრამ მაინც ერთგულად ემსახურება ეხლანდელ დინასტიას. იუანშიკაი სცდილობს შემოიღოს ჩინეთში რეფორმები, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია. უმთავრესს ყურადღებას, რასაკვირველია, ჯარს აქცევს. წინათ, არეულობამდე, ჯარის გაწვრთნისათვის გერმანელი ინსტრუქტორები ჰყავდა, ეხლა კი მხოლოდ იაპონელი ოფიცრები ჰყავს მიწვეული.

ირლანდია. 20-სა და 21 მარტს დუბლინში ჯონ-რედმონდის თავმჯდომარეობით შესდგა „ირლანდიის შეერთებულ ლიგის“ გამგეობის სხდომა. სხვათა შორის, კრება შეეხო ინგლისის მთავრობის ახალ აგრარულ კანონ-პროექტს. კრების აზრით, ახალი ბილი გაუბედავი და უსარგებლო ზომაა, რომელიც აგრარულ კითხვას ვერ გადასწყვეტს. აგრარული კითხვა მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როცა მამულის „ძალ-დატანებით გამოყიდვის სისტემა“ იქნება შემოღებული: უნდა შეძენილ იქმნას და ხალხს მიეცეს ის დიდი მამულები, რომელნიც ეხლა საბალახოდ არის გადაქცეული.

საბოლოოდ მაინც არ გამოუთქვამს ლიგას თავისი აზრი ბილის მიღების ან უარ-ყოფის შესახებ.

ამ სამის თვის განმავლობაში დაარსებულა კიდევ ახალი სამოცი განყოფილება „შეერთებულ ლიგისა“, სულ ეხლა 1290 განყოფილებაა.

ოსმალეთი. წყალ-წაღებული ხავსს ეკიდებოდაო, სწორედ ასე მოსდის ოსმალეთის მთავრობას: უვიც და უზნეო მოხელეთაგან ტყავ-გაძვრალი და შევიწროებული ხალხი იმპერიის ყოველ კუთხეში მღელვარებს, გარედ იცქირება და იქიდან მოელის შველას; მთავრობას კი უნდა ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას მითი უშველოს, რომ ა) აღკრძალა ყოველ-გვარი შეკრებულება კერძო სახლებში და ქუჩებში და ბ)—უცხოეთელ გაზეთების კითხვა ყავახანებში.

✿ „მორნინგ პოსტ“-ს სოფიიდან დეპეშით სწერენ: „ხმა დადის, ვითომ ალბანელების ზოგი წარმომადგენელი და მაკედონელი რევოლიუციონერები საიდუმლოდ შეთანხმებულიყვნენ, რათა შეაერთონ ორივე ხალხი დამოუკიდებელ სახელმწიფოს შესაქმნელად. განზრახვა აქვთ მეფედ ევროპის რომელიმე დინასტიის წარმომადგენელი აირჩიონ; უპირატესობას სავოიის დინასტიის წარმომადგენელს აძლევენ.

✿ იტალიაშიაც მუშაობენ ალბანელები და სცდილობენ იტალია ჩაირიონ ალბანიის საქმეში. იტალიის მთავრობა ჯერ ყურს არ ათხოვებს ალბანელ რევოლიუციონერებს. ამიტომ ამათ პირდაპირ იტალიის ერს მიჰმართეს—დაგვეხმარეთ ოსმალეთის უღლიდან ხალხის განთავისუფლებაშიო.

✿ მაკედონიის მოძრაობა თან-და-თან ძლიერდება. გაცხარებით ადგენენ აჯანყებულთა რაზმებს. ოთხი თუ ხუთი რაზმი უკვე მზად არის. ამ რაზმების შედგენას აწერენ ცნობილ ბორის სარაფოვს, რომელიც რაღაც ლეგენდარული პირი ჰხდება. მას ყველგან ჰხედავენ, მაზედ ყველგან ლაპარაკობენ, ნამდვილი მისი ბინა კი არავინ არ იცის. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ სარაფოვს უცდია სერბიელების მიმხრობაც, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაუწყვია. მაკედონიის ბერძნები მთავრობას აძლევენ მხარს, რადგან ეშინიათ, რომ რევოლიუცია ბოლგარულ ელემენტის სასარგებლოდ მოხდება.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის მთავარ-მართებელმა ცირკულიარით გაუგზავნა კავკასიის ყველა გუბერნატორებს დამტკიცებული **ინსტრუქცია** მაზრების და სოფლების მოხელეთათვის. ეს ინსტრუქცია შეიცავს სწავლა-დარიგებას, როგორ უნდა შეხვდნენ მაზრის და სოფლის მოხელეები, უკეთუ ჭირი ან სხვა რამე საეჭვო ავადმყოფობა გაჩნდა. მაზრის პოლიციამ და სოფლის მოხელეებმა უნდა აუხსნან ხალხს, რა ნიშნებით შეატყობენ საეჭვო ავადმყოფს და რა ზომები უნდა მიიღონ, ვიდრე ექიმი მოვიდოდეს. დაწვრილებით დარიგება ამ ინსტრუქციაშია მოყვანილი.

✦ 28 მარტს, ტფილისის საქალაქო გამგეობამ განიხილა ხუთმეტი განცხადება ტფ. სხვა-და-სხვა მცხოვრებთა იმის შესახებ, რომ ისინი, თუმცა უფლება აქვთ, შეტანილნი არ არიან **საარჩევანო სიებში.** გამგეობამ ზოგიერთის საჩივარი კანონიერად იცნო და დააკმაყოფილა, ზოგს კი უარი უთხრა; უკანასკნელთ ნება აქვთ 7 დღის განმავლობაში განასაჩივრონ გამგეობის გარდაწყვეტილება და გუბერნატორს უნდა წარუდგინონ თავიანთ უფლების დამამტკიცებელი საბუთი.

✦ გავახსენებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ დღეს, 30 მარტს, ქართულ თეატრის დარბაზში გაიმართება ქართული **კონცერტი ზ. ფ. ქორიძისა.** პროგრამა საუცხოვოა და დამსწრე საზოგადოება, უეჭველია, ნასიამოვნები იქნება ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხის სიმღერების მოსმენით.

✦ კვირას, 31 მარტს, საღამოს 8 საათზე საქართველოს ექსარხოსის მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესის ალექსის განკარგულებით, ტფილისის მეორე სამისიონერო ეკკლესიასთან მოთავსებულ სკოლის დიდს დარბაზში გამართულ იქნება რუსული **სასულიერო კონცერტი**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 100 კაცისაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი. კონცერტის წმინდა შემოსავალი გადადებულია შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

✦ კვირას, 31 მარტს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოს თეატრში ქართული სცენის მოყვარენი, ქ-ნ მ. საფაროვაბაშიძის მონაწილეობით, წარმოადგენენ გ. სუნდუკიანცის 4 მოქმედებიან კომედიას „ხათაბალა“-ს. წარმოდგენა დაიწყება საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე.

✦ ქალაქ დერბენდის თვით-მმართველობამ აღძრა შუამდგომლობა კავკასიის მთავრობის წინაშე, რომ ნება დართონ **საშუალო სასწავლებელი** გახსნან დერბენდში. სასწავლებლის მოწყობას ქალაქი კისრულობს და ყოველ წლივ 40,000 მან. დახმარებას ჰპირდება.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრის წარმომადგენელი კავკასიაში შუამდგომლობს მინისტრის წინაშე, ნება დართოს სოლოლაკის მთაში **გვირაბის გაყვანისა.** თავის მხრივ მინისტრის წარმომადგენელი არაფერ დაბრკოლებას არა ხედავს, რომ ნება მიეცეთ.

✦ შაბათსა და კვირას, საღამოს, 1-ლ სავაჟო გიმნაზიის შენობაში, ნ. ი. იუშკევიჩი წაიკითხავს საჯარო **ლექციებს მასსაჟისა და გიმნასტიკის** შესახებ. ბ. იუშკევიჩი, დამაარსებელი საბავშო სავარჯიშო ბაღებისა და მასსაჟის სპეციალისტი, პრაქტიკულადაც აჩვენებს დამსწრეთ მასსაჟის წესებს.

✦ 30 მარტს მეტეხის ციხის ეკკლესიაში, ამ ეკკლესიის დღესასწაულის გამო, სწირავს საქართველოს **ეგზარხოსი ალექსი.**

✦ 29 მარტს საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ დაათვალიერა მუშაობა საეკკლესიო სამოსწავლო **ინსტიტუტის** შენობაზე ხარფუხში.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა კავკასიის გუბერნატორებს, რომ, სენატის განმარტებით, **კბილის საექიმო სკოლაში** შესვლის ნება არა მარტო იმ ქალთა და ვაჟთა აქვთ, რომელნიც სწავლობენ სახელმწიფო საშუალო სასწავლებლებში, არამედ იმათაც, რომელნიც კერძო სასწავლებლებში სწავლობენ, უკეთუ ამ სასწავლებლებსაც სახელმწიფო სასწავლებლის უფლება აქვთ.

✦ დღეს, 30 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განხილულ იქნებიან შემდეგი საქმეები: ბიჭია აბესაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება; თეიმურაზ დიხომინჯიასა,—ცრუ ფიცის მიღება, სიბიტო ბრეგვაძისა,—კაცის მოკვლის განზრახვა, მოსო სოფრომაძისა,—მიხეილ ჩხოტუასა და სხვათა, რომეთაც სხვა-და-სხვა დანაშაულობათა ჩადენა ბრალდებათ.

✦ „საბურთალოზე“ არსებულს მარკოზოვის დუქანში 24 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, ჩხუბი მოსვლიათ ერთის მხრით ვასილ და ივანე კორტიშვილებსა და მეორეს მხრით ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის მცხოვრებთ ვასილ ხრაპოვსა და თედორე ლატიშევს. ჩხუბის დროს გაილახა ძალიან ვასილ ხრაპოვი, რომელსაც აგრეთვე ჯიბიდან ამოაცალეს 13 მან.; დამნაშავენი გადაეცნენ ტფილისის მაზრის 1 ნაწილის გამომძიებელს.

ქუთაისის ახალი ამბები

~ ქალაქის საბჭომ 18 მარტის კრებაზე ვერ მოასწრო იმ სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელსაც განხილული აქვს ქალაქის გამგეობის 1898 წლის მოქმედება. ამ მოხსენების განხილვისათვის 25 მარტს იყო საბჭოს კრება დანიშნული, მაგრამ ამ დღეს მხოლოდ 13-ლა ხმოსანი მოვიდა, მეტი არა.

ეს ამბავი „არ ახალია-ძველია“, ჩვეულია ჩვენი ხმოსნებისათვის. აბა, ერთი „კენჭობია“ დაინიშნოს რამე და მაშინ ნახეთ, როგორ ჩქარა აივსოს საბჭოს დარბაზი. ეს დალოცვილი ჩვენი ხმოსნები: თუ აირჩიეთ—საბჭოს კრებებზე თოკით სათრევი ხდებიან, თუ არ აირჩიეთ—იმათ საყვედურსა და მუდარას ველარ აუვალთ. განა თუ ხშირია ქუთაისის საბჭოს კრებები: თვეში ორი კრება აქვთ მორიგი, მაგრამ ერთიც რომ მოხდეს—კარგი უნდა...

შემდეგი კრება 1-ლ აპრილსაა დანიშნული.

~ გორის ეპისკოპოსად ახლად განწესებულის არქიმანდრიტის ბენიამინეს მოადგილედ ქუთაისის სემინარიის რექტორად, როგორც გვითხრეს, იმავე სემინარიის ინსპექტორი მამა არქიმანდრიტი სილვესტრო იქმნება დანიშნულიო. ამის მოადგილესი ჯერ არა ისმის-რა.

მამა არქიმანდრიტი ბენიამინე ამ მოკლე ხანში ტფილისს უნდა ჩამოვიდეს, სადაც მღვდელ-მთავრად უნდა აკურთხონ.

~ ქუთაისის ქართული სცენის დამამშვენებელი ნინო ჩხეიძის ქალი აქამომდე ავად იყო და სცენაზედ დიდი ხანია არ უნახავს ჩვენ საზოგადოებას. ამიტომაც დიდის ალტაცებით მიეგება ბლომად მოსული საზოგადოება თავის საყვარელ მსახიობ ქალს 25 მარტს. ამ დღეს იყო გამართული წარმოდგენა ნინო ჩხეიძისავე სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ებრაელი ქალი“ და „იქვიანი“.

მოხდენილმა თამაშმა ნინო ჩხეიძისამ და ლადო მესხიშვილისამ დიდათ ასიამოვნა დასწრე საზოგადოება. როგორც გვითხრეს, ხარჯს გარეშე ორმოცდა ათ თუმნამდე დარჩენია მობენეფისეს. ქ-ბ-ნი ჩხეიძისა საექიმოდ ემზადება თურმე წასვლას და, რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოებაც ხელს შეუწყობს, რომ ჩვენი პატივცემული მსახიობი კიდევ ჯან-საღად ნახოს ჩვენს სცენაზედ.

~ გუშინ ჩვენ დავბეჭდეთ, რომ ქუთაისში ირაკლი თუთბერიძის სახლი დაიწვაო. ეხლა გადმოგვცეს, რომ ამ სახლის მდგმურებს ძლივს გამოუსწვრიათ ცეცხლისაგან მოდებულ სადგომიდან. პოლიციის უბნის სამართველოს საქმეები თითქმის ერთიანად დამწვარა.

სახლი დაზღვეული ჰქონია პატრონს შვიდას თუმანში. სახლის პატრონი და ვილაც ერთი პოლიციას დაუჭერია და გამომძიებლისათვის გადაუცია. ეჭვი მიუტანიათ, სახლი ვითომ ბოროტ-განზრახვით დაეწვათ.

~ 25 მარტს ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი და მისი მეუღლე „მწვანე ყვავილა“-ს უბანს ათვალიერებდნენ. ამ მაღლობიდან „პოლიცეისკი“ ქუჩით დაეშვენ ძირს და ამ თავ-თავქვე გზაზე ეტლის ცხენებმა თავი ვერ შეიკავეს და ძალიან დაექანენ: ბოლოს ცხენებიც ისე დაფთხნენ, რომ მეეტლემ ვეღარ შეიკავა თავი და პოლიციის სამმართველოსთან ახლოს ეტლი გადაბრუნდა. ბ-ნი გუბერნატორი და იმისი მეუღლე ეტლიდან გადმოცვივდნენ, მაგრამ ისე, რომ ცოტად დაშავდნენ. იქვე სხვა ეტლი აიყვანეს და ბინაზე წავიდნენ.

პოლიციას მეეტლე დაეჭირა, მაგრამ ბ-ნ გუბერნატორის ბრძანებით დაუყოვნებლივ გაეშვათ.

დაბა-სოფლები

ს. რძველი (ახალციხის მაზრა). სოფ. რძველში მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატება 52 კომლს, რომელთა შორის 16 კომლი მაჰმადიანია, დანარჩენი მართ-მადიდებელი. ამ უკანასკნელთა შორის ოთხი ან ხუთი კომლი თუ მოიპოვება საკმაო შეძლების პატრონი, თორემ დანარჩენი ხელ-მოკლედ დარიბია. ორივე სარწმუნოების ხალხი მუყაითად მისდევს მამა-პაპურს ხვნა-თესვასა და შინაურის საქონლის მოვლა-მოშენებას.

თავიანთი ნაწარმოები, უმთავრესად კარგის ღირსების ყველი და ერბო, თვითონვე ჩააქვთ ახალციხის ბაზარში, სადაც იძულებულნი ჰხდებიან ნაჭირვ ნადაგი სულ მცირე, ჩალის ფასად ჩაუგდონ ხელში ათასნაირად ყალბობაში გავარჯიშებულს ჩარჩებს, რითაც საგრძნობლად ფერხდება უიმისოდაც დაქვეითებული ჩვენის სოფლის ეკონომიური მდგომარეობა.

სოფელში არსებობს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც თავის მცირე პროგრამით მცხოვრებთა სწავლისადმი სურვილს საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს. მართალია, ზოგიერთ მიჰყავს შვილები ახ ლ-ციხის სამოქალაქო სასწავლებელში, ზემოხსენებულ სკოლაში კურსის დამთავრების შემდეგ, მაგრამ საშუ ლების უქონლობის გამო ვერ უწყობენ თავიანთ შვილებს ხელს და უმეტეს შემთხვევაში სწავლას ვერ ათავებინებენ.

1900 წელს აღიძრა სურვილი და შესდგა განაჩენიც ერთ-კლასიანი სკოლის მეორე კლასიანად გადაკეთებისა; მაგრამ ,სხვა-და სხვა მიზეზების გამო, კეთილი-საქმე სისრულეშუ მოყვანილი ვერ იქმნა.

მართლაც, ბედი გაუღიმებდა აქაურებს, რომ ამ სანატრელს საქმეს განხორციელება ჰღირსებოდა. ამასთანავე დიდი საქმე იქნებოდა, რომ სამკითხველოც დაარსებულიყო. ლაპარაკი არის ორივე განზრახვის ასრულებაზე და ვისურვოთ, რომ განზრახვა განზრახვად არ დარჩეს.

ს. პატარძეული (ტფ. მაზრა): შაბათს, 23 მარტს სოფლის მცხოვრებ ყმაწვილებს ნიკოლოოზ გიუნაშვილს და დაიიკო გუგუნაძეს წყალის დასალევინებლად წაურეკავს ცხენები და როდესაც მიახლოვებიან ეგრედ წოდებულ „ნაცვალ წყალს“, იმ დროს სათვარიდან გამოვარდნილა ორი შეიარაღებული თათარი, შეუკრავთ ბავშები ბაწრებით, შემდეგ გაურეკიათ ოთხი ცხენი (სამი ისაკ გიუნაშვილისა და ერთი გიორგი გუგუნაძისა) და გაქცეულან. ადგილობრივს პოლიციას, როცა ეს ამბავი შეუტყვია, ყარაიაზის ბოქაულისათვის შეუტყობინებია და დაზარალებულთან ერთად ბოროტ-მოქმედთა დასაჭერად დარაჯები გამოუდევნებია, მაგრამ ჯერ ვერც ქურდები აღმოუჩენიათ და ვერც ცხენები უნახავთ. ბოროტ-მოქმედების ამბავი ეუწყა ტფილისის მაზრის მე-2 ნაწილის გამომძიებელს.

წერილი ძველი სენაკიდან

(„შუამავლის“ კრება)

24 მარტს ძველ-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში მოხდა წლიური კრება ძველ-სენაკის სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლისა“. კრებას დაესწრო ორმოცამდე წევრი. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ბლაღ. მღ. არის. კალანდარიშვილი. მდივნად პოლ. ესტ. დორთქიფანიძე. ამხანაგობა დაარსდა 1897 წელს. 1901 წელს ამხანაგობის წევრთა რიცხვი უდრიდა 264 (მათში ზოგი არა სრული წევრია), საწევრო ფული—2641 მან. აღნიშნულ წლის განმავლობაში ამხანაგობას უყიდია ნედლი პარკი 268 ფუთი 3401 მ. 50 კაპ. პარკის დახრჩობა-გაშრობაზე და წვრილმანზე დახარჯულა 739 მ. 28 კაპ. ამ რიგად თითეული ფუთი ნედლი პარკი დამჯდარა „ორთა“შუა რიცხვით 12 მ. 69 კაპ. ყველა ამ ნედლი პარკიდან გამოსულა 81 ფ. 20 გირ. ფუთი ამხანაგობას დასჯდომია (ხმელი) 44 მ. 90,1 კაპ. ხოლო ადგილობრივ გაუყიდიათ ფუთი 48 მან. ამრიგად ამხანაგობას მოგება უნახავს 252 მ. და 56 კაპ. ბევრი რომ არ გავაზვიადოთ, ამხანაგობას ხუთი წლის განმავლობაში მოგება დარჩენია ანუ თანხას მოუმატნია 1995 მ. და 24 კაპეიკით. გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში საზოგადო კრებამ მიიღო, მხოლოდ დაადგინა, რომ იქმნას ზომები მიღებული გასესხებულ ხუთასი მანეთის ასაღებად. წესდების განსახილველად დანიშნულ იქმნა ხუთი კაცი: თ. გიორგი ჩიჩუა, თ. ოტია დადიანი, ბ. სპ. ივ. ენუქიძე, გიორგი დ. ქავთარაძე და გიორ. მამინაიშვილი. ამხანაგობის ფარდულის ადგილის შესაძენადაც არჩეულ იქმნა კომისია სამი კაცისაგან: თ. ლევან ჩიჩუა, ბ. მაქსიმე ღვამიჩავა და გიორგი გამსახურდია. ამავე პირთ დაევალათ მოელაპარაკონ თ. მიშა დადიანს, რომელსაც აღუთქვამს ამხანაგობას შესწიროს საჭირო მიწა—კეთილ ინებებს თუ არა ეხლა თავადი დანაპირები აღუსრულოს ამხანაგობას.

ამხანაგობის გამგედ ერთხმად არჩეულ იქმნა ისევ ძველი—ბ. არსენ სიმონის ძე წითლიძე (ძველი სენაკის სათავად-აზ. სკოლის უფროსი მასწავლებელი), უსასყიდლოდ გამგეობის წევრებათ ბ. ბ. ილარ. გვანცალაძე (პროვიზორი) და სპირ. ენუქიძე (მასწავლებელი); მდივნად პოლ. დორთქიფანიძე (მასწავლებელი). გამგეობას მიენდო სარევიზიო კომისიასთან ერთად (სარევიზიო კომისიაში არიან თ. თ. ოტია დადიანი გიორ. ჩიჩუა და გიორ. გამსახურდია) განიხილოს თხოვნები დეკანოზის ქავთარაძის, ბლაღ. კალანდარიშვილისა და მასწავლებლის ენუქიძისა, რომელნიც თხოულობენ რწმუნებულს მათდამი სკოლებს ამხანაგობამ აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძველ-სენაკის ამხანაგობას ჯერ-ჯერობით წარმატება ეტყობა; და რომ ეს წარმატება უფრო გაძლიერდეს, საჭიროა კიდევ მეტი წევრები, მეტი ქონებრივი ძალ-ღონე, მეტი ოპერაცია. ყველა ეს მოსახერხებელი იქნება, თუ ძველი სენაკის წუთიერ გულის თქმას არ აჰყვებიან და შემოიერთებენ ახალ სენაკლებელს, რომლებიც აპირებენ ახალი ამხანაგობის დაარსებას.

ხტუმარი.

საისტორიო მასალა

კრუზენშტერნისა და კოლიუბაკინის მიწერ-მოწერა

მოწყალეო ხელმწიფეო

ნიკოლოოზ პეტრეს ძევ.

გენერალ ადიუტანტის თავადის ორბელიანის ყურამდე მიაღწია, რომ მთავარ-მართებლის განკარგულებით დახვრეტილის თავადის კონსტანტინე დადეშქელიანის გვამი უკვე დაუსაფლავებიათ ქუთაისს, ეკკლესიაში.

თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ეჭვშია, რომ ეს ხმა მართალი იყოს, რადგანაც, კანონით, სიკვდილით დასჯილთათვის აღკრძალულია პატიოსანი დამარხვა; ამიტომ მომანდო ვსთხოვო თქვენს აღმატებულებას მაცნობოთ: აქვს რაიმე საფუძველი ამ ხმას, ან რამ გამოიწვია იგი?

ვასრულებ რა ამ სახით მისის ბრწყინვალების მონდობილებას, უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, მიიღოთ რწმუნება ჩემის თქვენდამი პატივისცემისა და ერთგულებისა. **ა. კრუზენშტერნი** № 26. 30 მაისს 1862 წ. ტფილისი.

მისს ალმ. ნ. პ. **კოლიუბაკინის პასუხი**

მივიღე წერილი თქვენის მ. აღმატებულებისა, გამოგზავნილი 30 მაისს, № 26.

ჩემის ხნისა და ჩემის საზოგადოებრივ მდგომარეობის კაცისათვის ფრიად სამწუხაროა, რომ იძულებული ვარ ვიმართლო თავი ისეთს საქციელში, რომელიც მეფის მოადგილის თვალში დაუჯერებელია. მაგრამ, რაც მოხდა—მოხდა, და ჩემის ნება-დართვით გვამი თავადის კონსტანტინე დადეშქელიანისა წინადვე საზოგადოების გაუგებრად, საღამოს, ქალაქის გარე გზით წასვენებულ იქმნა ქვრივისა და შვილებისაგან პატარა და განცალკევებულ ეკკლესიაზე.

ამასთან, არ შემიძლია ავსცდე ამ შემთხვევის დაფასებას სარწმუნოებისა, კანონისა და საზოგადო აზრის მხრით, რათა განვმარტო ხარისხი და ხასიათი ჩემის მონაწილეობისა ამ საქმეში.

დატოვება თავადის კონსტანტინე დადეშქელიანის გვამისა იქ, სადაც იგი დახვრეტილ იყო, სამარცხვინო ორმოში, შეურაცხჰყოფდა ჩვეულებას, ქრისტიანულ გრძნობას და არისტოკრატულ რწმენას ქვეყნისას, და არა-თუ აღელვებდა მისს ნათესავთა, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეში, არა-თუ უწყლულებდა გულს მისს ქვეშევრდომთა, არამედ მიზეზი იყო იმისა, რომ მასთან დაკავშირებული ადგილობრივი თავად-აზნაურობა იდუმლად და გამოურკვევლად დრტვინავდა. ყოველი ესე თანაგრძნობა და გულ-მტკივნეულობა, რომელიც თან ახლდა სიკვდილით დასჯილის სამარეს, თითქოს შარავანდედით აგვირგვინებდა უცხო კანონის წამებულს მსხვერპლსა. ამგვარმა დამარხვამ გააუქმა მიმზიდველი თვისება დევნულისა ამა სოფლად... ამ სახით შესრულებულმა საეკკლესიო წესმა თავადის დადეშქელიანის მიმართ მოიტანა, ჩემის აზრით, ჭეშმარიტი სარგებლობა. ხოლო, რაც შეეხება სარწმუნოების მხრით, ვფიქრობ, რომ იმ დამნაშავის დასაფლავება, რომელიც სიკვდილის წინად სინანულით ემზორებოდა ჯვარ-ცმას, ყოვლად კანონიერია და მართლმადიდებელი სჯულის წინაშე დანაშაული მე არა მაქვს. პირიქით, თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით სარწმუნოებრივ გრძნობას, მგონია, რომ ასეთის განკარგულებით მე დავამშვიდე სული საბრალო მსხვერპლისა, რომელიც ცნობილის საყოველთაოდ და განსაკუთრებით ჩემ-მიერ თვისის ბუნების სიწმინდის გამო ვერ ჩაიტანდა სამარეში ვერც სიძულვილს და ვერც შურისძიებას.

არა, ვითარცა ქრისტიანი, მე არა ვარ დამნაშავე, მე მართალი ვარ; მართალი ვარ ეკკლესიის წინაშე და გული მამხელს, რომ მართალი ვარ თვით დამნაშავის მსხვერპლის წინაშე და უეჭველად არ დამგმობს უნუგეშოდ დაშთენილი ღვთის მმოსავი თვით ქვრივი განსვენებულისა.

უკანასკნელად შევეხები კანონს, და აქაც განსჯა ჩემის საქციელისა დამოკიდებულია არა იმაზე, თუ ვინ რა აზრის არის, რა ზნეობრივი და სარწმუნოებრივი რწმენა აქვს, არამედ იმაზე, თუ რა გვარად უნდა გავიგოთ დაწერილი სიტყვები. კავკასიის მთავარ-მართებლის წარდგინება უმაღლესად დამტკიცებულია 25 დეკემბერს 1860 წ. იმის შესახებ, რომ იმ ფულისაგან, რომელიც თავადის დადეშქელიანის ქვრივს მიეცა, გადადებულ იქნას სამი ათასი მანეთი დასჯილი ქმრის დასამარხავად და სატირლად ქვეყნის ჩვეულებისამებრ. ასე რომ მე, თუ დამნაშავე ვარ, მხოლოდ იმაში ვარ დამნაშავე, რომ სიტყვა-სიტყვით ვერ გავიგე ესრეთი უმაღლესი ბრძანება და არ დავამარხვინე თავადი დადეშქელიანი ხალხის ჩვეულებისა დაგვარად, ე. ი. დიდის ამბითა და ზეიმით, ზარების რეკით, მასპინძლობით, ორმოცის შეტირილით და მარულით.

თუ თავიდან ეს ჩემი თავის გამამართლებელი არა ვსთქვი, რასაც ვამბობ უკანასკნელად, ეს იმიტომ, რომ პატივსა ვსცემ პირად აზრს თავადის გ. დ. ძის ორბელიანისას და თქვენსას, მოწყალეო ხელმწიფეო, და მინდოდა ამეშორებინა თავიდან პასუხის გება არა თუ სამსახურის გამო, არამედ მსურდა გამემართლებინა თავი, ვითარცა მამულიშვილს და ქრისტიანს.

უცხოეთის წვრილი ამბები

გერმანეთის პოლონეთში გიმნაზიის სამი შეგირდი—ვარდენსკი, სიკორსკი და დრვენსკი, 15—16 წლისანი, უფროსს კლასში არ გადაიყვანეს. ამის გამო სამივემ გადასწყვიტა თავი მოეკლათ. გამართეს სადილი და ძალიანაც გადაჰკრეს. შემდეგ გასწიეს ქალაქ გარედ ტყეში; ყველას დიდი ყალიბის რევოლვერი ჰქონდა და, შეჰფიცეს რა ერთი-ერთმანეთს, შეუდგნენ საქმეს. ჯერ ისროლა სიკორსკიმ, შემდეგ დრვენსკიმ და ორივენი მძიმედ დაიჭრნენ; მესამემ—ვარდენსკიმ საფეთქელში დაიმიზნა და თავის ქალა აიგლიჯა. შემდეგ ამისა დრვენსკი, რომელიც თავში იყო დაჭრილი, რის ვაი-ვაგლახით მიხანხალდა მახლობელს წისქვილთან და იქ ხალხს ყველაფერი უამბო. ეს საბრალო ყმაწვილებიც გერმანიის მსხვერპლთაგანნი არიან.

* *

ცხვირის გასწორება. კაცი კი რა საკადრისია და რამდენი მშვენიერი ქალია, რომ უშნო ცხვირი ამახინჯებს. ამ სიმახინჯის აცილებასაც მეცნიერებამ სახსარი გამოუნახა, ამას ეძახიან „კოსმეტიურ“ ოპერაციას.

ეხლახან ხარკოვში ერთ ყმაწვილ ქალს გაუკეთეს ასეთი ოპერაცია. ამ ახალგაზდა, სახით ლამაზ ქალს რაღაც მოგრეხილი, უსწორ-მასწორო, უშნო ცხვირი ჰქონდა, რაც იმას ძალიან აღონებდა, რადგანაც თუ არ ეს წყეული ცხვირი, ქალს ყველა მშვენიერად დასახავდა. და რაც დრო მიდიოდა, ეს უბედური ცხვირი მოსვენებას არ აძლევდა, და მხოლოდ ისღა გაუხდა ქალს საფიქრებლად.

სადღაც ყური მოჰკრა ამ ქალმა, რომ ცხვირებს უსწორებენო და თითონაც განიზრახა ოპერაციის გაკეთება. რადგანაც ეს ქალი ერთ დიდს „მოდის“ მაღაზიაში ოსტატად იყო და რიგიანი ფულიც ეძლეოდა, დაუწყო ფულებს გროვება და მალე კარგა ფულს მოუყარა თავი.

მაშინ ქალმა მიმართა ცნობილ ექიმს—ქირურგს და დარცხვენით მოახსენა თავის გულისტკივილი „დაწყევლილი“ ცხვირის შესახებ. ექიმმა სიამოვნებით მიიღო ოპერაციის გაკეთება და საავადმყოფოში მიიწვია.

ქალს ცხვირი გაუჭრეს სიგძეზე, ამოიღეს კაკნატელა და იმის მაგივრად იმისავე ფეხიდან გამოჭრილი სხვა ჩაუსვეს. ეს მეორე (ფეხის) ოპერაციაც მშვენივრად გაუკეთეს.

ქალი ორი კვირა იწვა საავადმყოფოში, ვიდრე არ შეუხორცდა გაჭრილი ადგილები. ამ ჟამად ფეხი სრულიად მოურჩა და თავისუფლად დადის. ცხვირი გამოვიდა მშვენიერი, კეკლუცი და სურათი, მხოლოდ გაჭრილი ადგილი კიდევ ეტყობა, მაგრამ, ქირურგების სიტყვით, ცოტა ხნის შემდეგ სულ გადაუვლის.

* *

ბევრს ახალი მოგონება ჰგონია, „კონფეტის“ რომ გადააყრიან ხოლმე ერთმანეთს თავზე ახალგაზდები. ამ ნაკუწ-ნაკუწი ქაღალდების გადაბნევა სცოდნიათ ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში დღესასწაულების დროს, მეტადრე ყველიერში. მაშინ ხალხი ორად გაიყოფებოდა, ერთმანეთის პირდაპირ დადგებოდნენ და დაუშენდენ ერთმანეთს ქაღალდის ნაჭრებს და ნაკუწებს, რაც ძალიან ესიამოვნებოდა ხალხს. ზოგი დაიხრებოდა, რომ ქაღალდები აეკრიფა და ესროლა. ამაზე ხშირად დიდი ჩხუბი ჩამოვარდებოდა ხოლმე და ამიტომ მთავრობამ აუკრძალა ეს თამაშობა. მას შემდეგ, ორასმა წელმა რომ გაიარა, ერთ ფრანგულ გაზეთში დასტამბული იყო შემდეგი: „საზოგადოება ძალიან ერთობოდა, როდესაც ჰაერში ისროდენ ბევრ ქაღალდის ნაკუწებს და ხალხს თავზე სცვიოდა; ეს, იმათის ჰკუით, მოწინააღმდეგებთან ბრძოლა იყო, რადგან ქაღალდები ბურთივით რგვალი იყო და მითომ ზარბაზნის ყუმბარას წარმოადგენდა, ამიტომაც ამ ქაღალდებს ერქვა „ბალონ დე კარნავალ“.

ჩვენ ყმაწვილებს კი „კონფეტის“ გადაბნევა მოწონების და ალერსის ნიშანი ჰგონიათ; თურმე დაცინვის და მასხარად აგდების ნიშანი კი ყოფილა!

გამოსადეგი ცნობა

წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელმა რუსეთის საზოგადოებამ გამოსცა სხვა-და-სხვა საჭირო ცნობანი და დარიგებანი, რომელთაგან მოგვყავს აქ დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ ღონისძიებათა მიღებაა საჭირო, როდესაც წყლიდან ცოცხალ-მკვდარ ადამიანს ამოიღებენ.

პირველი დახმარება

წყლიდან გამოყვანილ ადამიანს, რაც უნდა დიდხანს ყოფილიყოს იგი წყალში, უთუოდ უნდა აღმოუჩინოს მას დახმარება, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ცხადია ნამდვილი ნიშანი სიკვდილისა—გვამის გახრწნა.

დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს შემდეგი: ა) დაუძახონ ექიმს; ბ) მოიტანონ საბნები და მშრალი ტანისამოსი; გ) მომზადდეს ყველაფერი, რაც კი საჭიროა დამხრჩვალის გასათბობად, ე. ი. ბოთლები ან ლიტრები ცხელის წყლით, გახურებული აგურები ან უთოები, პარკები ცხელის ნაცრით ანუ ქვიშით, გასათბობი ჭურჭელი და სხვა; დ) მეტი ხალხი მოაშორონ თვიდან; სამი ან ოთხი კაცი სრულიად საკმარისია დასახმარებლად.

წყლიდან გამოყვანილს ნძრევა და ქანაობა არასოდეს არ უნდა, არც ფეხზე უნდა დაყენება, არც დაჯდომა, თუნდა ცოტაც ეტყობოდეს სიცოცხლის ნიშნები, არც ფეხით უნდა აიწიოს.

შველა იმ ადგილზე უნდა, სადაც გამოათრიეს წყალში ჩავარდნილი, წყლის ნაპირზე ანუ ნავში. ამასთანავე ერთი წუთი არ უნდა დაჰკარგონ და დაწვრილებით აასრულონ შემდეგი დარიგება იმ წესით, როგორც მოყვანილია:*)

1) დააწვინონ დამხრჩვალი მარჯვენა გვერდზე ისე, რომ თავი ფეხებზე ცოტა მაღლა ედოს.

2) ამოუწმინდონ პირი, სასა და ნესტოები დუჟისა და სხვა უსუფთაობისაგან თითით, ცხვირსახოცით ანუ ფრთის წვერით.

3) თავი წინ დაახრევინონ, ოდნავ მხრებით წამოსწიონ, შუბლი დაუჭირონ და ყბები გაუხსნან, რომ გაუადვილონ წყლის ნთხევა.

4) უცბად გაატიტვლონ, მხოლოდ სხეულის შეუნძრევლად და შეურყევლად სხეულის ზემო ნაწილი (ყელი, გული), თუ საჭიროა, გაუჭრან ტანისამოსი; ქამარი მოუშვან, გაუხსნან ქვედა ტანისამოსი და თეთრეული.

5) ეცადონ, რომ ცხვირი დააცემინოს, ასუნებინონ ნიშადურის სპირტი, დამწვარი ფრთები, ძმარი და სხ. ანუ ულიტინონ ცხვირის ნესტოებში და ყანყრატოში ფრთის წვერით ანუ ხმელი ზონრით.

6) უცბად შეასხან სახეზე და გულზე ცივი ანუ ტფილი წყალი.

(დასასრული შემდეგ)

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 მარტი.

მოსკოვი. ქალთა კრებამ დაადგინა შეადგინოს კომისია წამხდარი ბავშვების ყურის საგდებად.

30,500 მან. მიღებაში ყალბის დოკუმენტებით დამნაშავედ აღმოჩნდენ ეისკის მოქალაქენი ხრისტენკო, აკულინი და ალექსეენკო.

კიევი. ციმბირის კომიტეტის თაოსნობით, ბაიკალში იგზავნება ზოოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციისათვის გადადებულია 18,500 მან. იმას აზრადა აქვს გამოიკვლიოს ბაიკალის ცხოველები და თევზის წარმოება.

ჰელსინგფორსი. გუშინ გახსნეს ფინის ახალი თეატრი.

ყაზანი. წყალმა სამი არშინი მოიმატა.—ინგლისისათვის თივას კითხულობენ.—უნივერსიტეტის გამოსაცდელს კომისიებში ეგზემენები დაინიშნა მაისისთვის.

ხარკოვი. ლიუბარსკი, ორლოვი, ალჩევსკი და აბრამოვი გაანთავისუფლეს საპატიმროდან.

ლონდონი. რუსეთის რწმუნებულს საქმეებში, თავად შჩერბატოვს, ტატიშჩევს, იაპონიის და სიამის ელჩებს საპატიო ადგილები ეჭირათ სააღდგომო სადილზე ლორდმერთან; ამ სადილზე იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები, ელჩები და ახალშენების წარმომადგენელნი.—პრეტორიიდან ატყობინებენ გაზეთებს, რომ შალკ-ბურგერმა, რეიტცმა და ლუკა მეიერმა კვირას კრონშტადტზე გაიარეს და გაემართნენ კლერკსდორპში. ბოტა მოვიდა კლერკსდორპში ორშაბათს. ფიქრობენ, რომ დელარეი და დევეტიც მიიღებენ მონაწილეობას თათბირში.

ტანჟერი. რუსეთის ხუთი გემი, რომელსაც საფრანგეთის სამი კრეისერი თან მოჰყვება, აქ მოვიდნენ.

ხარკოვი. გენერალმა დრაგომიროვმა დაათვალიერა დღეს ხარკოვის გარნიზონის ჯარები და პოლტავაში წავიდა.

კრონშტადტი. მთავარ კომანდირს ცნობა მოუვიდა „ერმაკზე“, რომელმაც გზაში, როგორც ისმის, მოგლეჯილ ყინულზე შერჩენილი 50 მეთევზე გადაარჩინა.

პარიზი. ქვემო ალპების დეპარტამენტისაბჭოს პრეზიდენტმა შეიტანა შემდეგი ადრესის პროექტი, რომელიც საბჭომ მიიღო: „როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი ემზადება რუსეთის იმპერატორის და იმპერატრიცას ნახვას, საპასუხოდ წარსული წლის ნახვისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილი გამომცნობი ვიქნები გრძნობათა, ვუგზავნი რა უმაღლესს თანამდებობის პირს მოწიწებით კეთილს სურვილს“. მარნის დეპარტამენტის საბჭო აღიარებს, რომ ამ მოგზაურობაში საფრანგეთი ხედავს ფრანგების და რუსების კავშირის ახალს საწინდარს.

პრეტორია. პრეზიდენტ შტეინს თვალები სტკივა, რაც იმას სიბრმავეს უქადის.

ბრიუსელი. შერბეკში ხალხის ბრბომ სამი პოლიციელი ყავახანაში შერეკა, რომელიც აიკლო. პოლიციელები ტყვიით არიან დაჭრილები. მეორე ბრბო ქუჩაში დადიოდა, იეზუიტების ეკკლესიის ფანჯრები ჩაამტვრია, აგრეთვე სასულიერო სემინარიისაც. ლიეჟში დაჭრილია დეპუტატი ტროკლე.

ლონდონი. გაზეთ „ტაიმს“-ს ატყობინებენ პეკინიდან, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ებძანა მოელაპარაკოს მისიონერ ფავიეს შესახებ წესდების შემუშავებისა, რომლის ძალითაც კათოლიკეთა მისიონერები უნდა გაერიონ ქრისტიანთა და არა ქრისტიანთა საქმის გარჩევაში.

პეტერბურგი. საიმპერატორო ხელოვნებათა აკადემიამ დაადგინა, კუნძულ გოლოდაეზე ააშენოს ხელოვნებათა სასახლე.—საბჭომ გადასდო პრეზიდენტის დასახვედრად 80,000 მანეთი.—გამგეობას წინადადება მიეცა წარმოადგინოს მოხსენება, რომ გაგარინის წყლის პირის ქუჩას ერქმევა სახელად საფრანგეთის ქუჩა.—გუშინდელ საბჭოს სხდომაზე მოხსენდათ, შეადგინონ კომიტეტი დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის თავმჯდომარეობით, იმპერატორი ალექსანდრე მეორის ძეგლის აგების მეთვალყურედ.—დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერა პატრიოტულ საზოგადოების ეკატერინეს სკოლა.—პოლკოვნიკმა მარშანმა ინახულა გენერალი ბოლდანოვიჩი.

29 მარტი

ადესსა. აქ მოვიდა სახალხო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი გენერალლეიტენანტი რეპნინი და გაეცნო ადგილობრივ სასწავლებლების სწავლის საქმის მდგომარეობას.

კელცი. ოლკუშის მახლობლად აღმოჩენილა შავი-ქვა.

ტამბოვი. გარდაიცვალა მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გარდენინი.

კიევი. საერთაშორისო ბანკის არტელშჩიკს პელშს ქალაქში ეტლით მოგზაურობის დროს უეცრად გული შეუწუხდა. მას მიეშველა გამვლელები. როცა ცოტათი მობრუნდა, აღმოჩნდა, რომ იმის პორტფელიდან 30,000 მან. ამოეღოთ.

ვენა. გერმანიის კანცლერი ბიულოვი მიიღო იმპერატორმა აუდენციაში. გაზ. „ფრემდებლატი“ ამბობს, რომ სამთა კავშირი განახლებული იქნება და სავაჭრო განწყობილებანი გაწესრიგებული ხელშეკრულობით.

ლონდონი. პალატა. ბროდრიკმა განაცხადა: „კიტჩენერი იწერება, რომ ტრანსვაალის წარმომადგენლები, მათ შორის შალკბურგერი, რეიტცი და ლუკა მეიერი ჩამოვიდნენ კლერკსდორპში. მათ შეუერთდა ბოტა. კლერკსდორპში მოვიდნენ აგრეთვე შტეინი, დევეტი, დელარეი და სამი წევრი ორანჟეს რესპუბლიკის მთავრობისა. ჯარების უფროსებიდან არავითარი ცნობები არ მოსულა გარდა იმისა, რაც შეეხებოდა დამსწრე პირთა საძღვარზე თავისუფლად გავლის ნება-რთვას. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მან არ იცის ნება აქვთ თუ არა თავისუფლად საძღვარზე გადასვლისა და ან რამდენი ხნითა აქვთ მინიჭებული ეს უფლება, მაგრამ ეს უფლება კი იმ დრომდე დარჩება ძალაში, ვიდრე მოლაპარაკებას არ გაათავებენ. მოლაპარაკების გათავების შემდეგ ყოველს დელეგატს უფლება ექნება დაბრუნდეს თავის ოლქში. ბლეკი ეკითხება შალკ-ბურგერი განდევნილი იქნებიან თუ არა, თუ ვინიცობაა ბუროა წრეში დაბრუნების დროს დატყვევებულ იქმნენ. ჩემბერლენმა უპასუხა, რომ პროკლამაცია ძალაში დარჩებაო.

ბერნი. შვეიცარიამ დიპლომატიური დამოკიდებულება შესწყვიტა იტალიის ელჩსილვესტრელთან. ამის მიზეზი ის არის, რომ მეფე ჰუმბერტოს სახელი შეურაცხყვეს იმის მკვლელის ქებით. სილვესტრელიმ სასტიკად გაჰკიცხა შვეიცარიის მოქმედება, როცა სასამართლო მკვლელობის საქმის გამოძიებას აპირებდა. შვეიცარიამ მოითხოვა სილვესტრელი უკანვე დაებარებიათ, მაგრამ, როცა რომიდან უარი მიიღო, ყოველივე დამოკიდებულება შესწყვიტა ელჩთან.

სოფია. გაზეთები იტყობინებიან, რომ ფირგილიანის ეპისკოპოსად კურთხევა ოსმალეთისათვის საშიშიაო და იმედოვნებენ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობა არ დაირღვევა. ამასთანავე იმედია, ამ საქმეში დაინტერესებულნი სახელმწიფოები ურჩევენ სულთანს, რომ სახიფათო საქმეებში მოუფიქრებლად ნუ იმოქმედებს.

პეტერბურგი. კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ველიამინოვ-ზერნოვს ებოძა ტაინი სოვეტნიკობა.—ბეირუტის უმთავრესი კონსული ლიშინი დაინიშნა აბისინიის მინისტრ-რეზიდენტად.—ტობოლის ვიცე-გუბერნატორი პროტოსიევი დაინიშნა ოლენეცკის გუბერნატორად.

გზათა უწყებისა და სატარიფო საქმეთა საბჭოს წევრი გუბერი დაინიშნა რკინის გზათა სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად. მოსკოვის საოლქო სამოსამართლოს პალატის მბრალმდებელი პოსტნიკოვი დაინიშნა ვარშავის სამოსამართლო პალატის უფროს თამჯდომარედ.—რადგანაც სხვა და სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათა აგენტები შემოწირულებათა მიღების დროს ცუდად იქცევიან. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოაგონებს საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობებს, კომიტეტებს და სხვათ, რომ მათი მოვალეობაა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წესდების ასრულებას და ამისათვის იწვევს მცხოვრებთ, უფრო გაფრთხილებით მოექცნენ შემოწირულებათა შემკრებთ, მოსთხოვონ მათ სათანადო მოწმობა და ნებართვის ქაღალდი, რომლითაც შემოწირულება უნდა შეაგროვონ.

იუსტიციის მინისტრმა საზღვარ-გარედ წასვლის დროს თავის თანამდებობის აღსრულება მიანდო თავისავე თანაშემწე მანუხინს.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

---

*) ერთს შეუძლიან წაიკითხოს დარიგება, ხოლო მეორემ ამ დროს აღასრულოს.

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კ ი ო ს კ შ ი,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Грузинское Издательское Товарищество.

გამგეობა ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობისა „კოლხიდისა“ ამით აცხადებს, რომ 8 მაისს, ამა 1902 წელს, საღამოს 7 საათზე, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობაში, დანიშნულია **საზოგადო კრება ამხანაგობის წევრთა,** რომელმაც უნდა განიხილოს: 1) ანგარიში გამგეობის მოქმედებისა 1901 წლის განმავლობაში, 2) თუ რა უნდა გააკეთოს ამხანაგობამ 1902 წელში და 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. (1—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზე, სამკურნალო წყლების ახლო, ქირით იძლევა საზაფხულოდ ტფილისის კუთვნილი ორ სართულიანი სავაჭრო სახლი (წინად აბესალამოვისა) მებელით და მოწყობილებით. სეზონის დასაწყისში სახლს ხელ-ახლად შეაკეთებენ და გაიცემა მთლად ანუ სართულობით. ესევე სახლი **იყიდება.** როგორც საქირავებელი, ისე სასყიდელი ფასის შეტყობისთვის სთხოვენ მიმართონ ტფილისის ქალაქის გამგეობას, ყოველ საქმის დღეს, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—3)

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულს საზოგადოებას, **რომ ამ წლის 1 მარტიდან** ჩვენგან ახლათ გაღებულს

სახელოსნოში მიიღება ყოველგვარი ხის საქმე

სახელდობრ: სახლის ავეჯეულობა, სკოლის ავეჯეულობა, ეკკლესიის კანკელები, შენობების კარ-ფანჯარა, „პაღეზდის“ კარები და სხვა. სახელოსნოს მშრალ სახლებში მოთავსება-მოწყობა და ჩვენს საქმეში 30 წლის გამოცდა გვაბედვინებს დავაიმედოთ მუშტარი, რომ ჩვენს სახელოსნოში გაკეთებული საქმე საიმედო იქნება. ამისათვის სახელოსნო კისრულობს პასუხის გებას. აგრეთვე სახელოსნოვე კისრულობს ქალაქ გარედაც გაგზავნოს თავისი სეული ნივთები, სადაც კი ურმის გზა არის, რომ მუშტარს გაუადვილოს შრომა.

ადრესი: ფასანაურის ვიწრო ქუჩა (ვერაზე), საკუთარი სახლი, № 16.

(10—1) სახელოსნოს პატრონები ვ. და დ. **გოცირიძეები.**

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნა ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,

ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.

მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმარილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში. (20—9)

Дозволе.) цензурою Ти

ელ. [illegible]რონით მბეჭდ. [illegible] წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა,